

მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური

2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით გაწერილი სამუშაოს შესრულების ანალიზი

2018 წელი 5 სექტემბერი

2018 წლის იანვრიდან აგვისტოს თვეში მარნეულის კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი სტუდენტების მომზადება

1.1.ავტორიზაციის მოპოვება (რეავტორიზაცია) და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 იანვრის #2 ბრძანებით დამტკიცდა კოლეჯის საქმისწარმოების წესი, 23 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცდა კოლეჯის დებულება, 23 იანვრის #4 ბრძანებით დამტკიცდა კოლეჯის შინაგანაწესი;

მომზადდა და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ჩაბარდა კოლეჯის ავტორიზაციის მაძიებლის კითხვარი.

კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ზედამხედველობით საავტორიზაციოდ მომზადდა და ადაპტირდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება და მომზადება დანერგვა განხორციელებისათვის. კერძოდ, მოხდა შემდეგი პროგრამების ადაპტირება:

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პრაქტიკოსი ექთანი
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საოფისე საქმე
- “ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საფინანსო სერვისები

2018 წლის 5,6,7 ივნისს მარნეულის კოლეჯში განხორციელდა განათლების ექსპერტების ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეამოწმეს კოლეჯის მიერ თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან, გაესაუბრნენ კოლეჯის პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს.

2018 წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს #127 (23.07.2018) გადაწყვეტილების საფუძველზე მარნეულის კოლეჯს მიენიჭა ავტორიზაცია და ზემოაღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლება.

მთელი წლის განმავლობაში კოლეჯში პერიოდულად ხორციელდებოდა მხარდაჭერის ექსპერტების ვიზიტები. ყოველი ვიზიტის პროცესში ხდებოდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების ადმინისტრირების, სამეცადინეო პროცესის შემოწმება, ასევე ინტერვიუები განმახორციელებლბებთან და სტუდენტებთან. კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან ყოველთვის ხდებოდა მხარდაჭერის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინება, რაც დადებითად აისახებოდა სამეცადინეო პროცესის უკეთ წარმართვაზე.

1.4. დამსაქმებელთა მოზიდვა და სასწავლო/შეფასების პროცესში ჩართვა და ახალი ბაზების მოძიება

2018 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ინტენსიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობის ხელშეკრულებებს გაფორმება შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო (2018 წლის 19 თებერვალი)
- შპს „ავერსის კლინიკა“ (2018 წლის 1 მარტი),
- შპს „ბოლნისის კლინიკა“ (2018 წლის 26 ივნისის)
- შპს „პანდა“ (2018 წლის 17 აპრილი),
- შპს „კრალი XXI“ (2018 წლის 27 მარტი),
- ი/მ „ზაქირ მურსაკულოვი“ (2018 წლის 27 მარტი),
- შპს „კრალის აფთიაქი“ (2018 წლის 26 მარტი),
- ი/მ ლია ჭილაძე (2018 წლის 27 მარტი) და სხვ.

ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში კოლეჯის პროფესიული სტუდენტები და მსმენელები სწავლობენ პრაქტიკის კომპონენტს.

დამსაქმებლის უშუალო ჩართულობა სასწავლო პროცესში კი გამოიხატება იმაში, რომ პრაქტიკის კომპონენტის შესწავლას, რომელიც ხდება პრაქტიკის ბაზაზე, ახორციელებს უშუალოდ დამსაქმებელი დასტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება დამსაქმებლის მიერ პრაქტიკის ანკეტაში. დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ა

1.5. პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებათა კვლევა.

გამოკითხვა ჩატარდა 2018 წლის მარტი-მაისის ფარგლებში. გამოკითხნენ პროფესიული სტუდენტები პროგრამებისა და სასწავლო კურსების მიხედვით.

პრაქტიკოსი ექთანი

სასწავლო კურსი ეპიდემიოლოგია - 3 სტუდენტი

სასწავლო კურსი - ზოგადი ჰიგიენა - 3 სტუდენტი

მეან-გინეკოლოგია - 3 სტუდენტი

პედაგოგია - 3 სტუდენტი

ფარმაცევტის თანაშემწე

ანალიზური ქიმია - 10 სტუდენტი

სოციალური ფარმაცია - 11 სტუდენტი

ფარმაკოლოგია - 7 სტუდენტი

საბანკო-საფინანსო პროგრამა

კომუნიკაცია - 9 სტუდენტი

ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციები - 5 სტუდენტი

ექთნის თანაშემწე

ინფექციური დაავადებები - 8 სტუდენტი

ფიზიოლოგია/პათოფიზიოლოგიის საფუძვლებით - 20 სტუდენტი

მათემატიკა - 20 სტუდენტი

ასევე, აღსანიშნავია, რომ პროფესიული სტუდენტების კითხვარებში გამოკითხვების მიერ ფასდება არა მხოლოდ პროგრამული ნაწილი, არამედ კოლეჯის ინფრასტრუქტურა, სანჰიგიენური სიტუაცია, პროფესიული მასწავლებლის კომპეტენცია. გამოკითხვის შედეგებით არც ერთ ნაწილში არსებითი ხარვეზი არ დაფიქსირდა, თუმცა კომენტარებიდან სტუდენტების მცირე რაოდენობამ (2 სტუდენტი) აღნიშნა, რომ კოლეჯის დერეფანი გასარემონტებელია. (ხარისხის მართვის სამსახურის ოქმი #15)

კოლეჯში არ გაამართლა სტუდენტების ონ-ლაინ გამოკითხვების სისტემამ, რადგანაც გამოსაკითხი რესურსის უმეტესობა არ ფლობს კარგად კომპიუტერის უნარებს, ხელმიუწვდომელია ინტერნეტი სოფლებში და ხარისხის მართვის სამსახურისათვის გაცილებით უფრო ადვილია მატერიალური კითხვარების მეშვეობით გამოკითხვის ჩატარება

1.6. სასწავლო პროცესის მონიტორინგი

საკონტაქტო საათზე დასწრებას ახორციელებდა ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი. ის ესწრებოდა მეცადინეობის პროცესს და ავსებდა ანკეტა-კითხვარს. პროცესის გამჭვირვალობის მიზნით ანკეტას ეცნობოდა პროფესიული მასწავლებელი და აწერდა ხელს. აღსანიშნავია, რომ არც ერთ პროფესიულ მასწავლებელს წერილობითი კომენტარი არ გაუკეთებია

ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული პროგრამა - დასწრება შედგა 13 სასწავლო კურსზე. ანკეტა-კითხვარებში ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტის კომენტარებიდან ირკვევა, რომ ყველა მასწავლებელი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ატარებს სამეცადინეო პროცესს ლოგიკურად და თანმიმდებრულად. თუმცა, თითქმის ყველა კითხვარიდან ირკვევა, რომ სტუდენტების ჩართულობა არ არის სრულიად დამაკმაყოფილებელი და მასწავლებლებმა უნდა უფრო აქტიურად ჩართონ პროცესში სუსტი სტუდენტები

საბანკო-საფინანსო სერვისები პროფესიული პროგრამა - დასწრება შედგა 10 სასწავლო კურსზე. კითხვარების შესწავლი შედეგად აქ გამოკვეთილი ხარვეზი ან სისუსტე არ აღინიშნება.

ექთნის თანაშემწის პროფესიული პროგრამა - დასწრება შედგა 10 სასწავლო კურსზე. აქედან ორი იყო პრაქტიკული მეცადინეობა. პრაქტიკულ მეცადინეობაზე მაქსიმალურად იყო გამოყენებული სასწავლო რესურსი და აქტიურად მიდიოდა სიმულაციური ტამაშობები. სტუდენტები იყვნენ პროცესში ჩართულები. დასწრების ბევრი ანკეტიდან ირკვევა, რომ მიუხედავად ქართული ენის დადასტურებისა, სტუდენტებს თავიდან გაუჭირდათ დარგობრივი ენის მეშვეობით პროცესში ჩართვა.

ექთნის თანაშემწის რუსულენოვანი პროფესიული პროგრამა - დასწრება შედგა 9 სასწავლო კურსზე. ანკეტიებიდან არ გამოიკვეთა არანაირი ხარვეზი. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ რუსულენოვან პროგრამაზე პროფესიული სტუდენტები გამოირჩევიან მოტივირებულობითა და მაღალი სწავლის ხარისხით,

პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამა - დასწრება შედგა 12 სასწავლო კურსზე. ერთერთი ანკეტიდან გამოიკვეთა, რომ უმჯობესი იქნებოდა მასწავლებელს დასმული შეკითხვებისათვის უფრო მკაფიო და გასაგები პასუხები გაეცა. სხვა ხარვეზები არ გამოკვეთილა. ზოგადად, უკეთესი იქნებოდა უფრო მარალი ყოფილიყო სტუდენტთა ჩართულობა პროცესში .

ბანკის მოლარე-ოპერატორი - დასწრება შედგა 22 მოდულზე.

საკონტაქტო საატებზე დასწრების აპროცესის ზოგადი ანალიზის მიხედვით სასურველი იქნება მომავალში უფრო მეტი დასწრება მოხდეს პრაქტიკულ მეცადინეობაზე. ასევე, კითხვებიც შეიძლება მეტად კონკრეტული და პრობლემებზე ორიენტირებული იყოს. ზოგადად, შედეგი დადებითად შეიძლება შეფასდეს. (ხარისხის მართვის სამსახურის ოქმი #15)

შეფასების პროცესზე დასწრება

სამწუხაროდ, 2018 წელს მარნეულის კოლეჯში შეფასებაზე დასწრება არ გახორციელებულა

1.5. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

2017 წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ჩატარდა ზეპირი სატელეფონო ინტერვიუების გზით, რომელიც ჩაათარა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მენეჯერმა. კვლევის თანახმად კვალიფიკაცია მიენიჭა 73 პროფესიულ სტუდენტს, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 57 კურსდამთავრებულმა, აქედან დასაქმებულია 20 სტუდენტი. 2017 წლის კურსდამთავრებულთა შორის დასაქმების მაჩვენებელია 46.6. %. (2017 წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის და დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი, 29.05.2018)

1.7. სახელმწიფო სტრუქტურებთან აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობა

2018 წლის 25 აპრილს კოლეჯმა დადო ხელშეკრულება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურეობის სააგენტოსთან

(ხელშეკრულება #3505040905-1) „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელების შესახებ და კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 09809 მარტის #17 ბრძანებით დაიწყო მოკლევადიანი პროგრამების განხორციელება:

- მოლარე,
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი
- საბუღალტრო აღრიცხვა
- ექთნის თანაშემწე
- პრაქტიკოსი ექთანი
- ფარმაცევტის თანაშემწე

პროგრამის დასრულების შემდეგ წარმატებულ მსმენელებს გადაეცათ დამადასტურებელი სერტიფიკატები.

2018 წლის 27 ივლისს კოლეჯმა დადო ხელშეკრულება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (ხელშეკრულება #09-1/85/III) „პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“ „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ განხორციელების შესახებ. ამ ხელშეკრულების საფუძველზე 2018 წლის 9 მარტ #17 ბრძანებით კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცდა ორი სასწავლო კურსი „ექთნის პროფესიული კურსი“ და „საფინანსო სერვისების კურსი“. უშუალოდ პროგრამა განხორციელდება 2018 წლის ოქტომბრიდან.

ქვემო ქართლის მრავალეთნიკური ახალგაზრდების სამოქალაქო და კულტურული ინტეგრაცია

2.1. სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია და ამ მიზნით ყოველწლიური ტრადიციული ღონისძიების ჩატარება

სამწუხაროდ, არანაირი ღონისძიება არ ჩატარებულა, რადგან კოლეჯის მთელი რესურსი მიმართული იყო ავტორიზაციისათვის მზადების პროცესებში

2.2. პროფესიული სტუდენტებისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება

2018 წლის 26 თებერვალს ჩვენი კოლეჯის სტუდენტები და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მაია ოკმელაშვილი მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში დაესწრნენ პრეზიდენტის გიორგი მარგველშვილის შეხვედრას მოსახლეობასთან. (ინფორმაცია ვებ-გვერდზე, ფოტომასალა)

20 მარტს მარნეულის კოლეჯში ჩატარდა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დისკუსია. პროფესიულმა სტუდენტები აქტიურად ჩაებნენ დიალოგში და საინტერესო შეკითხვებიც დასვეს. დისკუსიას უძღვებოდნენ პროფესიული მასწავლებლები ლეილა ქვაცაბაია, ნანა ხარაიშვილი, ნატა გოგოხია (ინფორმაცია ვებ-გვერდზე, ფოტომასალა)

23 მარტს მარნეულის კოლეჯის საექთნო პროგრამის სტუდენტები და პროფესიული განათლების მასწავლებელი ნანა ხარაიშვილი დაესწრნენ საჯარო ლექცია-ტრენინგს თემაზე „ქრონიკული ქრილობების მართვა“, რომელიც ჩატარდა თბილისში, საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში. ლექცია-ტრენინგი განხორციელდა საქართველოს კარიტასის ხელშეწყობით და მასში მონაწილეობდნენ ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები (ინფორმაცია ვებ-გვერდზე, ფოტომასალა)

29 მარტს მარნეულის კოლეჯში ჩატარდა ძალიან საინტერესო დისკუსია თემაზე "შაქრიანი დიაბეტის მართვის აქტუალური საკითხები, გესტაციური დიაბეტი" , რომელსაც წარუძღვა ექიმი ენდოკრინოლოგი მარიამ გოგოლაძე და დაესწრნენ როგორც კოლეჯის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები, ასევე, პროფესიული მასწავლებლებიც. დისკუსიის მსვლელობისას აუდიტორიიდან ბევრი საინტერესო და აქტუალური შეკითხვა გაჩნდა, რომლებსაც ქალბატონმა მარიამმა ამომწურავი პასუხი გასცა. (ინფორმაცია ვებ-გვერდზე, ფოტომასალა)

2018 წლის 30 მარტს მარნეულის კოლეჯის ორგანიზებით ჩატარდა "კრედო ბანკის" დასაქმების ფორუმი.ეს იყო ინტერაქტიული ტიპის შეხვედრა, სადაც ბანკის წარმომადგენლები შეხვედნენ კოლეჯის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, სხვა დაინტერესებულ პირებს (ინფორმაცია ვებ-გვერდზე, ფოტომასალა)

2018 წლის 6 მაისს კოლეჯის სტუდენტებმამოაწილეობა მიღეს ქალაქ თელავში ჩატარებულ საერთაშორისო მარათონში, რომლის ორგანიზატორიც იყო ორგანიზაცია "WINGS FOR LIFE". (ინფორმაცია ვებ-გვერდზე, ფოტომასალა)

კოლეჯში ჩატარდა თემატური კვირეულები, რომელთა ფარგლებშიც პროფესიულმა სტუდენტებმა ხელმძღვანელების დახმარებით აირჩიეს მათთვის საურველი საპრეზენტაციო თემები, მოიძიეს მასალა და წარადგინეს მოხსენებები. ჩატარდა : 7-14 მაისი „ექთნის კვირეული“ (ხელმძღვანელი ბელა გუჯეჯიანი) და „ეკოლოგიის კვირეული (ხელმძღვანელი ნანა გვაზავა) (ინფორმაცია ვებ-გვერდზე, ფოტომასალა)

2018 წლის 24 მაისს კოლეჯში ჩატარდა სახანძრო უსაფრთხოების საგანგებო ევაკუაციის სიტუაციური სწავლება . ადმინისტრაციისა და დაცვის თანამშრომლების ორგანიზებით, სტუდენტებმა და პერსონალმა გაიარა ტრენინგი აღნიშნულ თემაზე და შემდეგ შედგა იმიტაციური სასწავლო ევაკუაცია. (ინფორმაცია ვებ-გვერდზე, ფოტომასალა, დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლის ანგარიში))

2.3. სახელმწიფო ენის რეგიონში პოპულარიზაცია, ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება

2018 წლის 29 იანვრის #5 ბრძანებით დამტკიცდა ქართული ენის სასერტიფიკატო პროგრამა და კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 8 ოქტომბერს #69 ბრძანებით დაიწყო ამ პროგრამაზე მსურველთა სწავლება

2.4. არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა

მთელი წლის განმავლობაში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, საერთაშორისო ორგანიზაციასთან „კარიტასი-საქართველო“:

23 მარტს მარნეულის კოლეჯის საექთნო პროგრამის სტუდენტები და პროფესიული განათლების მასწავლებელი ნანა ხარაიშვილი დაესწრნენ საჯარო ლექცია-ტრენინგს თემაზე „ქრონიკული ჭრილობების მართვა“, რომელიც ჩატარდა თბილისში, საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში. ლექცია-ტრენინგი განხორციელდა საქართველოს კარიტასის ხელშეწყობით და მასში მონაწილეობდნენ ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები (კოლეჯის ვებგვერდი, ფოტომასალა)

ადამიანური რესურსის განვითარება

3.3 სხვადასხვა თემატურ პროექტში პერსონალის მონაწილეობა (კონფერენცია, ვორქშოფი, სეზვედრა და ა.შ.)

2018 წლის 9 და 11 მაისს შედგა კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგი და ვორქშოპი თემაზე "ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულიური პროგრამებისა და მოდულების განხორციელების მეთოდოლოგია" და "ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულიური პროგრამებისა და მოდულების განხორციელების მეთოდოლოგია პრაქტიკის ბაზაზე". ტრენინგი ჩატარდა მოდულიური პროგრამების განმახორციელებელთათვის. ტრენინგის შემდეგ შედგა თემატური ჯგუფების პრაქტიკული მუშაობა პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტზე. ტრენინგის მსვლელობისას ტრენერებმა მონაწილეებს გააცნეს კოლეჯის 2017-2023 წ.წ. ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა, 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუდავებული 2016-2017 წლის SWOT ანგარიში. (ხარისხის სამსახურის სხდომის ოქმი# 5)

ივნისში ჩატარდა ტრენინგი „მოდულიური/დუალური საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, რომელიც ემსახურებოდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულიური/დუალური პროგრამები) განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძლიერებას. მარნეულის კოლეჯში ამ ტრენინგის შედეგად მომზადდა და დირექტორის მიერ 2018 წლის 30 ოქტომბერს #75 ბრძანებით დამტკიცდა „მეთოდოლოგიური გზამკვლევი“. შემუშავდა და დამტკიცდა მარნეულის კოლეჯის 2018-2014 წლის სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა. 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმაში გაიწერა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვა.

2018 წლის 18 მაისს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „შრომის ბაზრის შესახებ მონაცემების შეგროვება და ანალიზი“. ტრენინგის მიზანი იყო შრომის ბაზრის შესახებ პირველადი მონაცემების შეგროვების და ანალიზის უნარების განვითარება ტრენინგის მონაწილეთათვის, ასევე მარტივი ანალიზი და ანგარიშის შედგენა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს კარიერული დაგეგმვიდა და პროფორიენტაციის მენეჯერმა ნონა ყაველაშვილმა და HR-მა ხატია ბერუაშვილმა. (ინფორმაცია ვებ-გვერდზე, ფოტომასალა)

2018 წლის 3 აგვისტოს მარნეულის კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრას მოდულური პროგრამების დანერგვის მიმდინარეობის საკითხებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის |(კოლეჯის ვებგვერდი, ფოტომასალა)

3.4.სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა

სამწუხაროდ, კონკრეტული შეხვედრა სხვა სასწავლებლების წარმომადგენლებთან არ მომხდარა

3.5. ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებათა კვლევა

მარნეულის კოლეჯის პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვა ჩატარდა 2018 წლის აპრილისა და მაისის თვეების განმავლობაში. სულ გამოიკითხა 11 მასწავლებელი

გამოკითხვამ მოიცვა შემდეგი პროფესიული პროგრამები და სასწავლო კურსები:

- ფარმაცევტის თანაშემწე - სოციალური ფარმაცია, ფარმაკოგნოზია, ორგანული ქიმია, ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა, ფარმაკოლოგია, ანატომია ფიზიოლოგიით, ეპიდემიოლოგია
- პრაქტიკოსი ექთანი - პირველადი გადაუდებელი დახმარება, ადამიანის ნორმალური ანატომია, პედატრია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა
- ექთნის თანაშემწე - ფიზიოთერაპია, ფიზიოლოგია, გერიატრია, ინგლისური ენა, მეანობა-გინეკოლოგია, ავადმყოფის მოვლა, მათემატიკა, ზოგადი ჰიგიენა
- საფინანსო სერვისები - სესხების მართვა, საბანკო პროდუქტები, გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა, სამეწარმეო საქმე, საინფორმაციო ტექნოლოგიები

ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა ჩატარდა მაისის თვეში, მათ დაურიგდათ კითხვარები. სულ გამოიკითხა 7 თანამშრომელი:

1. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
2. დირექტორის მოადილე
3. ბიბლიოთეკარი
4. საქმისმწარმოებელი

5. ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი
6. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
7. კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მენეჯერი

გამოკითხვიდან გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციის ოთახში არის მოძველებული კომპიუტერული ტექნიკა. ასევე, საქმისმწარმოებელს, ბიბლიოთეკარს სურთ ტრენინგები სიახლეების გაცნობასა და დაარქივების ტექნოლოგიებში. (ხარისხის სამსახურის სხდომის ოქმი #15)

მატერიალური რესურსის განვითარება

მთელი წლის განმავლობაში კოლეჯში მიმდინარეობდა მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის განახლებისათვის ზრუნვა. პროგრამის უწყვეტად მიმდინარეობისათვის კოლეჯმა შეიძინა სააფთიაქო და სამედიცინო პროგრამებისათვის სასწავლ მასალა,

4.1. საგანმანათლებლო და დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფა

კოლეჯმა შეიძინა ახალი სასწავლო მასალა და აღჭურვილობა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამებისათვის: საოფისე საქმე, აღმზრდელი, პრაქტიკოსი ექთანი.:

ფარმაცევტული და სამედიცინო მასალები, საოფისე მასალები, სასწავლო მულაჟი-მანეკენი, ფულის მულაჟები,

განახლდა სასწავლო და ადმინისტრაციული ინვენტარი - მერხები, სკამები, დაფები და ა.შ. ადმინისტრაციისათვის კოლეჯმა შეიძინა ახალი პრინტერები

4.3. სასწავლო რესურსების სისტემატური შევსება/განახლება

კოლეჯმა შეიძინა ახალი სასწავლო ლიტერატურა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამებისათვის: საოფისე საქმე, აღმზრდელი, პრაქტიკოსი ექთანი. ასევე, გარდა მატერიალური წიგნებისა, მოხდა ბიბლიოთეკის შევსება ელექტრონული სახელმძღვანელოებით აღნიშნული პროგრამებისათვის

4.6. ფინანსური მდგომარეობისა და შესაძლო რისკების იდენტიფიცირება/ანალიზი

სამწუხაროდ, კოლეჯში არ მოხდა ფინანსური მდგომარეობისა და შესაძლო რისკების იდენტიფიცირება და ანალიზი